რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

ეფექტიანი კონკურენცია საერთაშორისო ბიზნესში და სოციალური პერსპექტივები

The Effective Competition in International Business and the Social Perspectives

Эффективная конкуренция в международном бизнесе и социальные перспективы

თბილისი
2015

გლობალური სიღარიბის სიღრმისეული მიზეზებისა და ადამიანის გამდიდრებაზე მოქმედი ფაქტორების წარმოჩენასთან დაკავშირებით, მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის (საკვალიფიკაციო შრომის დაცვა სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნოსტრიფიკაცია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში), პოსტსაბჭოთა სივრციდან ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველი წევრის, თსუ ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ გეომედის პროფესორის, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მკვლევარ-პუბლიკანტისა და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – რევაზ ლორთქიფანიძის შრომა "ეფექტიანი კონკურენცია საერთაშორისო ბიზნესში და სოციალური პერსპექტივები" წარმოადგენს წმინდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას.

განკუთვნილია ეკონომიკის ქრისტიანულ-ზოგადთეორიული საფუძვლებისა და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია.

ISBN 978-9941-0-8382-2 (PDF)

ეფექტიანი კონკურენცია საერთაშორისო ბიზნესში და სოციალური პერსპექტივები

„დოვლათის სამართლიანი განაწილება ადამიანის მასობრივი გამდიდრების წინაპირობაა“. ავტორი

“The fair distribution of wealth is the prerequisite for the mass enrichment of a human." Author

"Справедливое распределение богатства является предпосылкой для массового обогащения человека." Автор

ჩემს ადრინდელ კვლევებში [1], მაჩვენებლების კომპლექსის გამოყენებით იქნა შესწავლილი არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების გავლენის მნიშვნელოვანი კონკრეტული ზიანი ეკონომიკის ეფექტიანობაზე, რაზეც აქ აღარ შევჩერდები - ამჯერად წარმოვაჩენ იმ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების განზოგადებას, რაც, დამეთანხმებით, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია მწვავედ საჭირო შემოსავლიანობის თვალთახედვით პრაქტიკაში.

განსაკუთრებით ეფექტიან და ურთიერთხელსაყრელ საერთაშორისო ბიზნესში სულ უფრო მეტ ძალას იკრებენ ე.წ. სტრატეგიული ალიანსები, რასაც, ბუნებრივია, მთელი რიგი ობიექტური მიზეზები გააჩნია, რომელთაგანაც გამოვყოფდი შემდეგს:

1. ბიზნესსუბიექტების გაერთიანებით, მცირდება მათი საფრთხეები, მ.შ. გაკოტრების რისკი, განსაკუთრებით, საერთშორისო კრიზისების გამწვავების პერიოდებში;

2. ერთგვაროვან ბაზარზე მნიშვნელოვნად მცირდება მონაწილე მიმწოდებელთა რაოდენობა, რაც ამცირებს კონკურენციის ეფექტიანობის პოტენციალს, თუმცა ზრდის სტრატეგიული მენეჯმენტის მანევრირების დიაპაზონს;

3. ალიანსების მონაწილეებს ეზრდებათ წვდომა ერთმანეთის ინოვაციურ სიახლეებზე, რაც ზრდის მათ მეცნიერულ-ტექნიკურ დონესა და, შესაბამისად, პროდუქტიულობას;

4. გაერთიანების საფუძველზე, იზრდება ბიზნესის მასშტაბები, რაც მასშტაბის ეკონომიის ეფექტს იძლევა და დამატებითი შემოსავლების საშუალებებს ამრავლებს, მ.შ. ზედნადები და მუდმივი ხარჯების არსებითი შემცირების შედეგად;

5. მცირდება საბაჟო და სხვა ეკონომიკური ბარიერები, მ.შ. ალიანსის მონაწილე საზღვარგარეთელი პარტნიორების ჩართულობის გზით ბიზნესტვირთების მოძრაობის გზაზე;

6. სტრატეგიული ჯგუფების მონაწილე საზღვარგარეთელი პარტნიორების ჩართულობის შედეგად, იზრდება პროგრესული საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სიკეთეებით სარგებლობის საშუალებაც;

7. მატულობს საბაზრო ფასებზე გავლენის ეფექტი, რაც დამატებითი შემოსავლების წყარო შეიძლება გახდეს და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ალიანსს მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია, როგორც საკუთარი ბიზნესებისათვის, ასევე, მონაწილე ქვეყნებისა და მსოფლიო თანამეგობრობისათვის საერთოდ, თუმცა, ყველა ალიანსი არ არის კეთილი (რაციონალური) და ხშირია შემთხვევები, როცა ალიანსები არაკეთილსინდისიერად იყენებენ გაერთიანების გზით მოპოვებულ უპირატესობებს. უფრო მეტიც, ძირითადად, სწორედ ალიანსების შესაძლო ფარული თუ დაუფარავი არაკეთილსინდისიერი მექანიზმების გამო მრავლდება სიღარიბე სულ უფრო განვითარებულ მსოფლიოში, რაც, საჭიროა, ხაზგასმით ვამხილოთ, რომ დაინახოს ყველამ და საერთაშორისო თანამეგობრობის მუდმივი დაკვირვების საგანიც გახდეს.

სამწუხაროდ, სწორედ ასეთმა არაკეთილსინდიდიერმა ალიანსებმა დააზიანეს და, შეიძება ითქვას, გაანადგურეს საქართველოს უნიკალური სოფლის მეურნეობაცა და აგროინდუსტრიაც და არსებითი გავლენა მოახდინეს ეკონომიკური პოლიტიკის დეფორმირებული სახით ჩამოყალიბებაზეც, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა.

მაგალითად, თუ აშშ-ში (ნამდვილად არ ვარ ბრმად მიმბაძველი, უბრალოდ, რაც, სამაგალითოა, უნდა აღინიშნოს) ადამიანი საშუალოდ 50 წლამდე მეტწილად ცოდნასა და გამოცდილებას აგროვებს და შემდეგ სწრაფად ხდება მისი შემოსავლების მატება, ჩვენთან კი, რატომღაც, სწორედ ამ მოწიფული ე.წ. სიბრძნის ასაკის (50 წ.)

დადგომის წინ (35 წ.), როცა ადამიანს უკვე ბევრის უკეთ გაკეთება შეუძლია, მასობრივად ხდება „გაზრდილი“ ნიჭიერი კადრების ჩამოშორება აქტიური მოღვაწეობიდან და საპენსიო 65 წლისათვის, ისინი, ხშირ შემთხვევაში, შემოსავლებისა და საზოგადოებრივი დაფასების მინიმუმის ზღვარზე „არსებობენ“ [2], ელემენტარულად, ყოველგვარი სამკურნალო საშუალებების გარეშე.

ამ მხრივ, საყოველთაო ჯანდაცვის უნიკალურმა ქართულმა რეფორმამ ბევრს სიკვდილის პირას მოუსწრო და, ღმერთით, ასეთი სასიკეთო რეფორმის მექანიზმები სულ უფრო დაიხვეწება მომავალში - არაფრით არ შეიძლება, რომ ადამიანის სასიცოცხლო პრობლემები კერძო მონოპოლიის ზემოგების ინტერესს ჩაუვარდეს ხელში და, ვფიქრობ, პერსპექტივაში, მხოლოდ და მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული მედიცინა უნდა განვავითაროთ - პროგრესული მაგალითები მრავლადაა, მ.შ., განსაკუთრებით, თანამედროვე აშშ-ში, კანადაში, ინგლისში, გერმანიაში, შვედეთში, შვეიცარიაში, რუსეთში, ჩინეთსა და ინდოეთში.

ჩემი აზრით, სოციალური მედიცინა უნდა განვითარდეს 3 ფუნდამენტური პრინციპის გათვალისწინებით:

1) კერძო საკუთრების პრიმატი ჯანდაცვითი ობიექტების ძირითად კაპიტალზე;
2) სახელმწიფო დაფინანსების პრიმატი გადაუდებელი სჭიროებების პრიორიტეტებითა და საყოველთაო დაზღვევის მექანიზმების გამოყენებით;
3) კერძო და სახელმწიფო პრიმატების აუცილებელი გეგმიური და მოულოდნელი ურთიერთაუდიტი, მ.შ. ჯანდაცვის სახელმწიფო და დამოუკიდებელ აუდიტთა მობილური ინსპექციების (მაქსიმუმ 35-40 კაცის შემადგენლობით) შექმნის გზით, რათა არ იმრავლოს ყოველთვის შესაძლო ფარულმა შეთანხმებებმა და კორუფციული მიდრეკილებებმა.

საერთოდ, მსხვილი ბიზნესი ძალზე ბევრ სასიკეთოს აკეთებს, როგორც დიდ, ასევე, საშუალო და მცირე ქვეყნებში, მაგრამ ყველა დიდი ბიზნესმენი როდი იქცევა ნებაყოფლობითი კეთილგანწყობით. ამდენად, კვალიფიციურ დაკვირვებასთან ერთად, მსხვილ ბიზნესს, მიზანშეწონილია პროგრესული გადასახადებიც დავუწესოთ. ამ შემთხვევაში, პროგრესული არ ნიშნავს რაიმე ახალსა და მოწინავეს - უბრალოდ, იგულისხმება მსხვილი ბიზნესის დაბეგვრის მზარდი პროცენტული

განაკვეთები, მცირე და საშუალო ბიზნესთან შედარებით. ფაქტია, რომ პროგრესული საგადასხადო სისტემა არსებითად შეამცირებს შემოსავლების უთანასწორო გადანაწილებას, რაც, ელემენტარულად, ლორენცის მრუდის ბისექტრისასთან დაახლოებითაც დასტურდება [დასახელებული წყარო]. პროგრესული საგადასხადო სისტემა საშუალებას მოგვცემს ადამიანების მზარდი კვალიფიკაცია სულ უფრო მეტად დავუკავშიროთ მათ მზარდ შემოსავლებსაც [იქვე].

მწვავე პრობლემების ოპერატიული გადაჭრის ინტერესებით მასობრივი მკითხველისათვის გამოქვეყნებული აღნიშნული შრომა, ბუნებრივია, მიზნად არ ისახავს თავი შეგაწყინოთ ზედმეტი პროფესიული განმარტებებით და იმათ, ვინც გააუქმა საგეგმო სამსახური თანამედროვე ეკონომიკის სამინისტროში იმ მოტივით, თითქოს ეს ყოფილი სსრკ-ს გადმონაშთი იყო და დღემე ხელს უშლის მისი მექანიზმების სათანადოდ ამოქმედებას, ხაზგასმით მივანიშნებ, რომ, ეფექტიანი საერთაშორისო ბიზნესისა და სოციალური პერსპექტივებისათვის ჩემი ექსპერტული შეფასებებით აგებულ გრაფიკებთან ერთად, გადახედონ ლ. კანტოროვიჩის სატრანსპორტო ამოცანასაც [იქვე], რომელიც სატრანსპორტო გადაზიდვების დაგეგმვისა და ხარჯების მინიმიზების საშუალებას იძლევა და ნობელის პრემიით აღინიშნა ჯერ კიდევ სსრკ-ს წლებში. მაშინაც კი, დიქტატორული ათეისტური სისტემის მიუხედავად, საკმაოდ ბევრი აზროვნებდა რაციონალურად და ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები ყოველდღიურად გულით ვლოცულობდით სასიკეთო მომავლისათვის.

გონიერ მკითხველს მივმართავ, თქვენებურად გულდასმით დააკვირდით, თუ როგორ ჯობდა სიღარიბის სიმცირეში ყოფილი საბჭოთა კავშირი აშშ-საც კი [2]. რაღაც-რაღაცეები სსრკ-ს სინამდვილიდან დღეს განსაკუთრებით აქტუალური და გასათვალისწინებელია, რაც, ზოგმა განვითარებულმა ქვეყანამ და პროგრესული ბიზნესის ინსტიტუციონალურმა ტოპ-მენეჯმენტმა უკვე დაისახა კიდეც. საყოველთაო ჯანდაცვის შემოღებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ღარიბი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, მაგრამ, თუ სოციალურად ორიენტირებულ სისტემას გონივრულად დაგეგმილი ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა არ შეეშველა, სოციალური

მექანიზმები ტვირთად დააწვება ეკონომიკას. პირიქით კი, სიღარიბეც შემცირდება და საბაზრო ეკონომიკის სიკეთეებიც შესაძლოდ სრულად გამოვლინდება.

წყაროები

1. რევაზ ლორთქიფანიძე, კომენტარები ეკონომიკური კონკურენციისა და ადამიანის გამდიდრების ქრისტიანული საფუძვლის საკითხებზე. - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2015, ISBN 978-9941-0-8343-3 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/131383
2. რევაზ ლორთქიფანიძე, დანართი ლექციიდან:

ხარჯების მინიმიზების, ეფექტიანობისა და სოციალური თანასწორობის მექანიზმები: